

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 12

ქადაგისი

2017 წლის 25 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 25 მარტს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა, კომისიის წევრის ირაკლი ჩიქავას მიერ, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაზიარების გზით.

სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის გამო, კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი ჩიქავა.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრვ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭუელი და ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქავა.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრვ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი, მოწოდებული ვიდეომასალა და გამოკითხა მატჩის მომსახურე ოფიციალური პირები, ამა წლის 21 მარტს ჭაბუკთა „ა“ ლიგის კალენდარულ მატჩზე რუსთავის „ხარები“-სა და ქუთაისის „ბაგრატი“-ს შორის, მომხდარი ფატის შესახებ

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

1. კლუბ ქუთაისის „ბაგრატის“-ს მორაგბე საბა გაბუნია (№1) - მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე შევიდა და წარმოქმნილ კონფლიქტში ჩაერთო.

სრვ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრვ სადისციპლინო კოდექსის 2.2.9 და სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 2.9 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. კლუბ ქუთაისის „ბაგრატის“-ს მორაგბე საბა გაბუნია (№1) დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 100 (ასი) ლარით.
2. კლუბ „ბაგრატი“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 2.9 პუნქტი და კლუბ „ბაგრატი“-ს, ჭაბუკთა „ა“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრვ სადისციპლინო კომისიის სხდომის თავმჯდომარე

რ. ჩ. ჭ. /

/ირაკლი ჩიქავა/